

ქალაქ ქუთაისში, ლეკავას ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის  
N15 ბინაზე, მოქალაქე ვლადიმერ კიკნაველიძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა მოქალაქე ვლადიმერ კიკნაველიძის განცხადება /2011 წლის 26.12 Nკ-10140/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ლეკავას ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N15 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ლეკავას ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N15 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ვლადიმერ კიკნაველიძეს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ლეკავას ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N15 ბინაზე /საერთო ფართობი 51,25 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 29,40 კვ.მ, დამხმარე ფართობი 21,85 კვ.მ./ მოქალაქე ვლადიმერ კიკნაველიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე